ჯონს სტუარტ მილი შესანიშნავად განმარტავს თუ რატომ ჩამორჩნენ აზიელები ევროპელებს და რამ შეაფერხა მათი წინსვლა და პროგრესი. მილის აზრით, ამის მთავარი მიზეზია ის, რომ „ჩვეულებათა დესპოტიზმი“ აბსოლუტურია აზიაში. იქ ჩვეულება ყველაფერში საბოლოო ინსტანციაა. უსიტყვო მორჩილება და კონფორმიზმი არის დამახასიათებელი აზიელებისათვის, რაც აფერხებს მათ

წისნვლას და განვითარებას. სწორედ ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ ერთ დროს აზიის უდიდესი და ძლავემოსილი ერები, ევროპელების ქვეშევრდომები გახდნენ და მათ სამარცხვინო დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. ჯონ სტუარტ მილის აზრით, მაშინ როდესაც ევროპელები ველურები იყვნენ და მათი წინაპრები ტყე-ღრეში დაეხეტებოდნენ, აზიელ ერებს მშვენიერი სასახლეები და უდიდესი ცივილიზაციები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ მათი განვითარება შეფერხდა. მილი თვლის, რომ ერმა შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში პროგრესს მიაღწიოს და შემდეგ მისი განვითარება შეფერხდეს. ჯონ სტუარტ მილის აზრით ეს მაშინ ხდება, როდესაც ის კარგავს ინდივიდუალურობას. ადათის დესპოტიზმმა და ინდივიდუალურობის წინააღმდეგ ბრძოლამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ნებისმიერ ერს და ჩაახშოს პროგრესი ასეთ საზოგადოებაში. (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, 2013)

მილის აზრით პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება კი არ უნდა თრგუნავდეს განსხვავებულობას და ინდივიდუალურობას, არამედ პირიქით ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას. მილის აზრით საჭიროა გამორჩეული ინდივიდების წახალისება, ნაცვლად მათი დათრგუნვისა. როგორც მილი გვაუწყებს, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს განვითარება და თავისუფლად სუნთქვა მხოლოდ თავისუფლების ატმოსფეროში შეუძლია. მილის აზრით ორიგინალურობის სარგებლიანობას მხოლოდ „არაორიგინალური გონების ადამიანები ვერ გრძნობენ; ვერ ხედავენ, რას მიცემთ ის მათ“ (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, 2013). მათი გონება იმდენად დაბრმავებულია, რომ ამის დანახვაც კი არ შეუძლიათ.

საბოლოო ჯამში ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი რაიმე პროგრესი არსებობს საზოგადოებაში, ყველაფერი ორიგინალურობის ნაყოფია. თუმცა ასევე უნდა აღვნიშნოთ რომ მსოფლიოში შეინიშნება კონფორმიზმის მასიური გავრცელების ტენდენცია. ევროპელებიც თანდათანობით აზიელებივით კონფორმისტები ხდებიან და როგორც ჯონ სტუარტ მილი გვაუწყებს ევროპა „აშკარად მიიწევს ყველა ადამიანის ერთნაირად ქცევის ჩინური იდეალისაკენ“, რაც მისი აზრით დიდი ხიფათის შემცველია. ჯონს სტუარტ მილის ნაშრომს აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. საზოგადოებამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გააცნობიერა ინდივიდუალურობის და მრავალფეროვნების განსაკუთრებული ღირებულება და ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს მის განვითარებას, ყველა სფეროში ახშობს მას. მილის მთავარი გზავნილი კაცობრიობისთვის არის ის, რომ თავისუფლების და ინდივიდუალურობის შეზღუდვა დიდი ბოროტებაა და კაცობრიობისათვის სიკეთე არ მოაქვს, პირიქით იწვევს მის ჩამორჩენილობას და დეკადენსს.

ბიბლიოგრაფია

1. Brink, David (2007) Mill's Moral and Political Philosophy, <https://plato.stanford.edu/entries/mill-moral-political/#LibUti>
2. Ten, Chin Liew (1980) Mill On Liberty. Oxford: Clarendon Press.
3. Wilson, Fred (2007) John Stuart Mill, <https://plato.stanford.edu/entries/mill/#Lif>
4. Scarre, Geoffrey (2007) Mill's 'On Liberty': A Reader's Guide. Continuum; 1 edition.
5. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში (2013) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჯონ სტუარტ მილი თავისუფლების შესახებ

ვალერი მოდებაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართულ უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია ჯონ სტუარტ მილის იდეები თავისუფლების შესახებ. ჯონ სტუარტ მილის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა თავისუფლების აღქმაზე და ლიბერალური აზროვნების განვითარებაზე. მის ნაწარმოებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. სტატიაში აღწერილია თუ რატომ არ უნდა თრგუნავდეს თანამედროვე საზოგადოება განსხვავებულობას და ინდივიდუალურობას და რატომ უნდა უწყობდეს ხელს მის განვითარებას.

John Stuart Mill on Freedom

Valeri Modebadze

**Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate
of Georgia**

Summary

The article analyzes John Stuart Mill's ideas about freedom. The ideas of John Stuart Mill greatly influenced the perception of freedom and the development of liberal thinking. His work has not lost its relevance today. The article describes why modern society should not suppress diversity and individuality and why it should promote its development.

John Stuart Mill sur la liberté

Valeri Modebadze

**Professeur de Saint André le Premier Appelé du Patriarcat de Géorgie Université
Georgian**

Résumé

L'article analyse les idées de John Stuart Mill sur la liberté. Les idées de John Stuart Mill ont grandement influencé la perception de la liberté et le développement de la pensée libérale. Son travail n'a pas perdu de sa pertinence aujourd'hui. L'article explique pourquoi la société moderne ne devrait pas supprimer la diversité et l'individualité et pourquoi elle devrait promouvoir son développement.

ჩინეთის მიერ აშშ-ზე განხორციელებული კიბერ შეტევები

ჩინეთის საფრთხეების მნიშვნელოვანი ასპექტები:

„The supreme art of war is to subdue the enemy without fighting.” - Sun Tsu from
“The Art of War” Believed to have lived between 770 and 476 B.C

ნატო ჯიაძე

სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობის ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სავაჭრო ომი ჩინეთთან

დღეს მსოფლიოს საერთაშორისო დღის წესრიგს განისაზღვრას აშშ-სა და ჩინეთს შორის მეტოქეობა მსოფლიო ჰეგემონობისათვის. ამ ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირება მნიშვნელოვნად გამძაფრდა დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ბოლო წლების განმავლობაში ამ ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის ეკონომიკურმა კონფლიქტმა პიკს მიაღწია.

უნდა აღინიშნოს რომ, სავაჭრო-სატარიფო ომი აშშ-სა და ჩინეთს შორის არ არის მხოლოდ ვაჭრობაში უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლა. ეს არის სინამდვილეში ბრძოლა გლობალური ლიდერობისათვის. ჩინეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს 2049 წლისათვის გახდეს მსოფლიო ჰეგემონი, რასაც მთავარ საფრთხედ აღიქვამს ტრამპის ადმინისტრაცია და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისათვის უმთავრეს გამოწვევად მიიჩნევს.

ბოლო წლების განმავლობაში ამერიკა ტარიფების გაზრდით ახორციელებს სავაჭრო დარტყმებს ჩინეთის პროდუქციაზე, რაც გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. მაგრამ რა არის ამ ომის უკან?

საქმე ისაა რომ ამერიკას აღიზიანებს ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რამაც შესაძლოა გადაწონოს ამერიკის ჰეგემონია მსოფლიოში, თუ არ მიიღო ამერიკამ სათანადო ზომები. ვაშინგტონი და პეკინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ტარიფების დაწესებაში. ამერიკა აწესებს მაღალ ტარიფს განსაზღვრულ პროდუქციაზე, ჩინეთიც შესაბამისად პასუხობს ტარიფის გაზრდით. 1978 წელს ჩინეთის შიდა პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 6 %-ს, ხოლო ბოლო პერიოდში შეადგენს 66 %-ს. ეს უპრეცედენტო ეკონომიკური ნახტომი დაიწყო მას შემდეგ, როდესაც ჩინეთი გახდა მსოფლიო სავაჭრო პალატის წევრი 2001 წელს. ეკონომიკის სწრაფი ზრდა დაიწყო პრეზიდენტ დენგ ხიაოპინგის დროს. 1988 წელს პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე გასამმაგდა. ჩინეთის საექსპორტოდ აგზავნიდა პროდუქციის 15%-ს. (the economist, 2019).

2018 წლიდან მოყოლებული, დონალდ ტრამპი მეთოდურად ახორციელებს ტარიფების შემოღების გზით სავაჭრო დეფიციტის შემცირებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.

მას შემდეგ, რაც აშშ-ჩინეთის მოლაპარაკებები სავაჭრო შეთანხმების თაობაზე ჩაიშალა (ამერიკული მხარის მტკიცებით, ჩინეთმა უკან დაიხია ყველა ამ დრომდე მიღწეული შეთანხმებიდან), დონალდ ტრამპმა მიიღო გადაწყვეტილება, \$200 მილიარდის ჩინურ პროდუქციაზე ტარიფების 10%-დან 25%-მდე გაზრდის თაობაზე (ჯამში \$250 მილიარდის პროდუქციაზე მოქმედებს უკვე 25%-იანი ტარიფი). უფრო მეტიც, თეთრმა სახლმა გასცა განკარგულება, მომზადდეს გადაწყვეტილება დამატებით \$300 მილიარდის პროდუქციაზე ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით (ჩინეთის იმპორტის საერთო რაოდენობამ 2018 წელს \$539 მილიარდი შეადგინა). (ა.პეტრიაშვილი, 2019)

ამერიკა ცდილობს შეანელოს ჩინეთის ეკონომიკური აღმასვლა, თუმცადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ღიად აცხადებს, რომ ჩინელები 3-ჯერ, 4-ჯერ უსწრებენ ამერიკელებს სარკინიგზო და საავტომობილო გზებისა და პორტების მშენებლობაში, რაც მოიცავს აზიის, აფრიკის, ევროპისა და ლათინური ამერიკის ათეულობით ქვეყანას.

ყველაზე მძიმე ბრალდება რასაც აშშ ჩინეთს უყენებს ეს არის ინტელექტუალური საკუთრების მიტაცება. ჩინეთი ყოველწლიურად ახორციელებს ჰაკერულ თავდასხმებს აშშ-ზე. აშშ ყოველწლიურად \$300-დან \$450 მილიარდამდე დოლარით ზარალდება ინტელექტუალური საკუთრების ჩინელების მიერ მოპარვისა თუ ჰაკერული თავდასხმების შედეგად.

აშშ ჩინეთს ადანაშაულებს ასევე ადამიანების უფლებების უხემ დარღვევაში და ოლიმპიური კომიტეტისაგან მოითხოვს 2022 წელს ზამთრის ოლიმპიადის გაუქმებას. აქ ლაპარაკია იმ აგრესიულ ქმედებებზე რომელიც ჩინეთმა განახორციელა ტიბეტელი ბერების მიმართ. ასევე ბრალად ედება ქრისტიანების დევნა, უიღური მუსულმანების საკონცენტრაციო ბანაკებში მოქცევა. (ა.პეტრიაშვილი, 2019)

აშშ ბრძოლა ჩინეთის ეკონომიკური შპიონაჟის საფრთხესთან

ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ამტკიცებს რომ, ჩინეთმა სწრაფი ეკონომიკური აღმასვლა მოიპოვა არაკეთილსინდისიერი გზებით. (“They’ve shown that they’re willing to steal their way up the economic ladder at our expense“) „ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ მოიპოვონ ეკონომიკური აღმასვლა ჩვენს ხარჯზე; ისინი პირველები აღმოჩნდნენ განხორციელებინათ ფართო სპექტრის ექსპანსია ინოვაციების მოპარვაში“ - განაცხადა აშშ ფედერალური კვლევის ბიუროს დირექტორმა ქრისტოფორ ვრეიმ 2020 წლის 6 თებერვალს სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ცენტრში ვაშინგტონში ჩინეთის ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე და დასძინა რომ მთელი საზოგადოების რეაგირებაა საჭირო იმისათვის, რომ აშშ-ს ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოება საიმედოდ იყოს დაცული.

ჩინეთის მთავრობა ექსპლოატაციას უწევს ამერიკის ეკონომიკის და საზოგადოების ღიაობას, ჩინეთის საფრთხე განიხილება როგორც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, რომელიც ხორციელდება ყველა სფეროში როგორცაა ეკონომიკა, კერძო სექტორი, ბიზნესი, ჯანდაცვა, განთლების სფერო. ჩინეთი ძალღონეს არ იშურებს მოიპაროს ისეთი სენსიტიური ტექნოლოგიები, როგორცაა კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული ტექნიკა, ტელესაკომუნიკაციო საშუალებები, ჩინეთი ასევე იპარავს ინფორმაციას აშშ-ს კომპანიებიდან, აკადემიური ინსტიტუტებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან, რომელიც აღნიშნული ინსტიტუტების ინტელექტუალური საკუთრებაა.

ჩინეთის საფრთხეების მნიშვნელოვანი ასპექტები:

პირველ რიგში აქ იგულისხმება, გაგება იმისა რამდენად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ჩინეთის მხრიდან მომავალი საფრთხეები და რა წარმოადგენს მათ სამიზნეს. მიზნის მისაღწევად ჩინეთი ყველა საშუალებას იყენებს - დაწყებული კიბერ თავდასხმებით და დამთავრებული სხვადასხვა გავლენიანი პირების მოსყიდვით. ისინი არ ერიდებიან ფიზიკურ ქურდობას. მათ განახორციელეს ფართო მასშტაბიანი ინოვაციების ქურდობა, რაშიც ჩართული იყო არა მარტო ჩინეთის სადაზვერვო სამსახურები, ასევე სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოები, კერძო კომპანიების მკვლევარები, სტუდენტები და სხვადასხვა პირები, რომელნიც მოქმედებდნენ მათი სახელით. მრავალი პასუხისმგებელი პირი იქნა მოსყიდული და გადაბირებული მათ მიერ. ფედერალურ ბიუროს ჩატარებული აქვს დაახლოებით 1000 გამოძიება, რომლებიც ეხება ტექნოლოგიური ინოვაციების მოპარვას აშშ -ს მიერ დაფუძნებული კომპანიებიდან. ასეთი სახის ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა განხორციელდა თითქმის ყველა სახეობის ინდუსტრიასა და ყველა სექტორში.

მრავალმხრივი ჰაკერული თავდასხმები განხორციელდა სხვადასხვა სამიზნეებზე დაწყებული ამერიკული კომპანიებით და დამთავრებული სამთავრობო სექტორით. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა განხორციელდა ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში. ჩინელი ჰაკერების სამიზნეს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში მიღწეული ინოვაციები, დაწყებული ბრინჯის და სიმინდის თესლიდან, ქარის ტურბინების და სამედიცინო აღჭურვილობის პროგრამული უზრუნველყოფით დამთავრებული. ისინი იპარავენ კომპანიის შიდა სტრატეგიულ დოკუმენტაციასაც, ყველაფერს რითაც ისინი კონკურენციას გაუწევენ ამერიკას.

ბოლო ერთი თვის მანძილზე გამოვლენილ იქნა უახლესი კვლევების მოპარვის ფაქტები ბოსტონის და ჰარვარდის უნივერსიტეტში. დაპატიმრებულ იქნა ჩინელი მკვლევარი მოპარული ბიოლოგიური კვლევის ფლაკონების კონტრაბანდისათვის. ჩინეთის მთავრობა მიმართავს ყველა საშუალებებს და გზებს

რათა მიზანში ამოიღოს ამერიკის ეკონომიკის და ინდუსტრიის ყველა სფერო. (Christopher Wray, 2020).

ჩინეთის ამბიციის სფერო

მეორე - რაც უნდა გამოვეყოთ ჩინეთის საფრთხეებიდან ეს არის ჩინეთის ამბიციების სფერო. აქ იგულისხმება არა ჩინელი ხალხი არამედ ჩინეთის მთავრობა და ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის მთავრობა არაკანონიერი გზით ცდილობს მოიპოვოს ლიდერობა ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სფეროში. ბოლო პერიოდში ჩინეთის მთავრობამ სწრაფად გაზარდა ეკონომიკა ჩინეთის იაფი მუშახელის და დასავლური კაპიტალის და ტექნოლოგიების გაერთიანებით. მაგრამ ჩინეთის ლიდერებმა კარგად იციან რომ აღნიშნული მოდელი დიდხანს ვერ გასტანს. იმისათვის რომ მათ გადააჭარბონ ამერიკის მიღწევებს, მათ უნდა გააკეთონ მნიშვნელოვანი ნახტომი თანამედროვე ტექნოლოგიების მინართულებით. მარტში კომუნისტური პარტიის შეხვედრაზე ჩინეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ „ჩვენი შესაძლებლობები ახალი ინოვაციების აღმოჩენის კუთხით თითქმის უმნიშვნელოა, რაც პრობლემატურ საკითხად რჩება“. ჩინეთი ყოველ ღონეს ხმარობს მოიპოვოს ამერიკის ინტელექტუალური, მეცნიერული და ინოვაციური ბოლო მიღწევები. ამით თავიდან იცილებენ იმ შრომას, რაც კვლევისათვის არის განკუთვნილი და შემდგომ იყენებენ ამერიკის წინააღმდეგ ; ანუ კომპურენციას უწევენ იმ კომპანიებს, რომელთაც ეკუთვნოდა მათ მიერ მოპარული გამოგონებები. მათ თავი მოაქვთ მსხვერპლად. ფაქტიურად ორჯერ ატყუებენ მათ. ყველაზე მთავარი: ისინი იყენებენ კანონიერ და არაკანონიერ მეთოდებს-როგორცაა უცხოური ინვესტიციების და შესყიდვების გაერთიანებით კორპორატიული ინსაიდერების მიერ განხორციელებული კიბერ შპიონაჟი. დაზვერვის სამსახურები ქირობენ ჰაკერულ ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ მთავრობის დაკვეთას, რათა თავიანთი კვალი დაფარონ ამერიკის მონაცემების მოპარვაში. (Christopher Wray, 2020).

აშშ ღიაობის პოლიტიკით სარგებლობა

მესამე საფრთხე -აშშ ღიაობის პოლიტიკით სარგებლობაა: ჩინეთს და ამერიკას აქვთ ფუნდამენტურად განსხვავებული სისტემა. ჩინეთის ბევრი მსხვილი საწარმო ბიზნესი მთავრობის და კომუნისტური პარტიის ხელშია. შესაძლოა, ისინი ფორმალურად არ ეკუთვნოდნენ მთავრობას, მაგრამ იურდიულად და პრაქტიკულად ანგარიშვალდებულნი არიან ჩინეთის მთავრობის და კომუნისტური პარტიის წინაშე. ჩინეთში მოქმედებს კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, რაც ავალდებულებს ჩინურ კომპანიებს ინფორმაციები მიაწოდონ სახელმწიფოს. აბსოლიტურად, ყველა ჩინურ კომპანიაში არის კომუნისტური პარტიის ე.წ "უჯრედი", რაც ბუნებრივია მოითხოვს კომპანიის პრინციპების და პარტიის პრინციპების თანხვედრას. მსგავსი სისტემაა აკადემიურ სფეროშიც - ისინი ამერიკაში სასწავლებლად გზავნიან ჩინელ სტუდენტებს. ისინი, ე.წ „ათასი ტალანტის გეგმა“ -ს ამოფარებულნი, ახორციელებენ ინტელექტუალური ცოდნის

ქურდობას, იპარავენ კონფედერაციულ ინფორმაციას, ყველანაირ სამეცნიერო კვლევებს რასაც შემდგომში თავისად ასაღებენ.

ისინი ასევე აგზავნიან ამერიკულ ინსტიტუტებში ჩინელ სტუდენტებს, რომ გაატარონ კომუნისტური იდეოლოგია; მათ მოსყიდული ყავთ სასწავლებლის კემპუსის სხვადასხვა პერსონალი - აწარმოებენ მონიტორინგს როგორც ჩინელ ასევე ამერიკელ სტუდენტებზე. ისინი დიდ თანხებს ხარჯავენ, რათა ხელი შეუშალონ ჩინეთიდან ჩამოსულ სპიკერების გამოსვლას, რომლებიც ამხელენ ჩინეთის მთავრობას.

ცხადია, არსებულ განსხვავებას, როგორც ბიზნესის ასევე აკადემიურ სფეროში ჩინეთი იყენებს თავის სასარგებლოდ. ამერიკის ღია აკადემიურ სისტემას პეკინი იყენებს თავიანთი კვლევების და გამოგონებებისათვის. ამერიკული კომპანიების ღიაობის საფუძველზე თვითონ ახორციელებენ უცხოურ ინვესტიციებს, ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ამერიკული ფირმები და წარმოაჩინონ თავი თითქოს თვითონ იყვნენ დამფუძნებლები. ისინი ხშირად ხურავენ თავიანთ კომპანებს და აფუძნებენ ერთობლივ კომპანიებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს კომუნისტური უჯრედის არსებობას ამერიკულ კომპანიაში. აქ რისკის ქვეშ დგება კომპანიის საიდუმლოების დაცვა; ასევე კომპანიაში მომუშავე პერსონალის მონაცემთა ბაზა, რომელიც გადის ჩინეთის უზარმაზარ ბაზარზე ანუ კომუნისტური პარტიის კონტროლი ერთობლივ საწარმოებზე უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. (Christopher Wray, 2020).

5 G და ჰუავეი

ჰუავეი ტექნოლოგიებში მთავარი პროვაიდერია და აკონტროლებს მთელ პროგრამულ სისტემას. ჩინეთს ბრალი აქვს წაყენებული თაღლითობასა და სავაჭრო საიდუმლოებების ქურდობაში. პრეზიდენტი ტრამპი და მისი ადმინისტრაცია, მთავარ საფრთხედ განიხილავს ჰუავეის, როგორც ყველაზე საშიშ ჩინურ კომპანიას, რომელიც იპარავს ყველაზე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ საკუთრებას ამერიკული კომპანიებიდან. როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეი აცხადებს, ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა რეალურია.

ვაშინგტონსა და პეკინს შორის დამაბულობა მას შემდეგ გამძაფრდა, როდესაც ტრამპმა შავ სიაში შეიყვანა ჰუავეი და 70 აფილირებული კომპანია. მან აუკრძალა ყველა ამერიკულ კომპანიას ჰუავეისთან თანამშრომლობა. მასთან კავშირი გაწყვიტეს ისეთმა კომპანიებმა როგორცაა „გუგლი“ „კუალკომი“, „მაიკროსოფტი“. რაც ნიშნავს რომ არცერთი ამერიკული კომპანია თავს არ გრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ. ტრამპის ადმინისტრაციამ მითითება მისცა დირექტორთა საბჭოს, კომპანიებმა ახალი პერსონალის მიღება მოახდინონ ძალიან ფრთხილად. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება თანამშრომლობას ჩინეთთან, რომელიც საწყის ეტაპზე ფინანსური მოგების კუთხით მიმზიდველია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდგომ მოხდება ინტელექტუალური ცოდნის მოპარვა და

მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზის დაკარგვა, რასაც უკვე გააკონტროლებს ჩინეთის მხარე.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მე-4 თაობის ინტერნეტის ფინალურ ფაზაში, როდესაც შემოდის ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ძირფესვიანად გარდაქმნის დღევანდელ მსოფლიოს. ჰუავეის შეუძლია ისეთი ტექნოლოგიების შექმნა, რომელიც 20 -ჯერ უფრო სწრაფია ვიდრე 4G ინტერნეტი. მე-5 თაობის ინტერნეტი ტექნოლოგიების ყველა სფეროს დააკავშირებს ინტერნეტთან. ეს ტრანსფორმაცია დიდ ცვლილებებს გამოიწვევს სამხედრო, სამედიცინო, ეკონომიკურ სფეროში. ვინც გააკონტროლებს 5 G ინტერნეტს, ის გააკონტროლებს ყველაფერს, რაც ხორციელდება ონ-ლაინ მეშვეობით. დღეისათვის კი ჰუავეი 5G-ს ყველაზე იაფი მწარმოებელია და შესაბამისად ჯამუშობის და კიბერ შეტევის მძლავრი იარაღია. რის გამოც ტრამპმა აკრძალა მისი გამოყენება კომუნიკაციების ქსელში.

ჯამში ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება ამერიკა ჩინეთის დაპირისპირება და რა შედეგს მოიტანს. თუმცა ნათელია, ტრამპი არ აპირებს კომპრომისზე წასვლას. „ჩვენ არ დავუშვებთ რომელიმე ქვეყანამ უპირატესობა მოიპოვოს ამ ძლივამოსილ ინდუსტრიაზე. ამერიკა აუცილებლად მოიგებს ამ ომს“ (ტრამპი, 2020).

თუმცაღა ჩინეთი არ აპირებს უკან დახევას. ამის მაგალითია 2020 წლის 20 ივნისს განხორციელებული კიბერ შეტევა - ჩინეთის ჰაკერულმა ჯგუფებმა იერიში მიიტანეს ავსტრალიის სახელმწიფო სამსახურებზე (რომლებიც ფლობენ საიდუმლო და მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მონაცემთა ბაზას, ასევე პერსონალის მონაცემთა ბაზას) ბიზნეს სექტორზე, სკოლებსა და საავადმყოფოებზე. ამით ფაქტიურად გააფრთხილა ამერიკა და მისი მეკავშირე ინგლისი (NBC, news, 19 June, 2020).

რთული არის პროგნოზირება თუ რით დასრულდება ამ ორი ზესახელმწიფოს ჭიდილი. კონფლიქტის სიღრმიდან გამომდინარე საკითხის გადაჭრა ძალიან რთული იქნება. მთავარი მიზეზი მაინც ორივე სახელმწიფოს შორის არსებული უნდობლობაა. თუმცაღა ორივე მხარე აცნობიერებს იმ უდიდეს საფრთხეს, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში შესაძლოა გადაიზარდოს არასწორი გათვლების შედეგად.

და რომ აღნიშნულმა დაძაბულობამ მსოფლიო შესაძლოა დაყოს ორ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ბანაკად. ორივე სახელმწიფოს ვალდებულებაა შეიანარჩუნოს სტაბილურობა გლობალურ სავაჭრო სიტემაში და შეიმუშავონ მექანიზმები რომ გადაჭრან კონფლიქტი მოლაპარაკების გზით.

ბიბლიოგრაფია

1. ალექსი პეტრიაშვილი - ჩინეთის ბრძოლა გლობალური ლიდერობისთვის, 13 ივნისი, 2019 ფორბს მოსაზრება
2. Christopher Wray director Federal Bureau of Investigation Washington, D.C. Confronting the China Threat, February 6, 2020 <https://www.fbi.gov/news/stories/wray-addresses-china-threat-at-doj-conference-020620>
3. The Economist- America vs China: Why the trade war won't end soon - ნოემბერი, 2019 https://www.youtube.com/watch?v=ErwllvQ_RVk
4. Kevin Rudd-Are China and the US doomed to conflict? TED2015 https://www.ted.com/talks/kevin_rudd_are_china_and_the_us_doomed_to_conflict/transcript?language=end
5. The Battle for cyberspace- Dr Adam Segal -February 26 ,2020, GCSP <https://www.youtube.com/watch?v=TL4sAgKU4Kc&t=172s>
6. What's behind Trump's fear of Huawei- Jun 8, 2020 - The Prime Minister says Australia is the target of state-based cyber-attack - <https://www.youtube.com/watch?v=KBXqFGPYbAk>- 19 June, 2020. ABC News

ჩინეთის მიერ აშშ-ზე განხორციელებული კიბერ შეტევები

ნატო ჯიადზე
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობის ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თუ რამ გამოიწვია სავაჭრო-სატარიფო ომის დაწყება ამერიკა - ჩინეთს შორის. განხილულია ჩინეთის მრავალმხრივი საფრთხეების მნიშვნელოვანი ასპექტები. სტატიის მიზანია იმ კიბერ შეტევების გაანალიზება რა ფაქტორებმაც ხელი შეუწყო ამერიკა ჩინეთს შორის მიმდინარე „ეკონომიკურ ცივი ომის“ დაწყებას.

China's cyber attacks on the United States

Nato Jiadze

PhD student , Faculty of Law and International Relations

Georgian Technical University

Summary

The article discusses what factors caused the beginning of USA-China trade war. Discussed the Chinese cyber threats -as a diverse and Multi-layered Threats. The purpose of this article is to analyze the threats that led the beginning of USA – china economic cold war.

Cyberattaques de la Chine contre les États-Unis

Nato Jiadze

Doctorant, Faculté de droit et relations internationales

Université Technique Géorgienne

Résumé

L'article discute des facteurs qui ont provoqué le début de la guerre commerciale USA-Chine. Discuté des cybermenaces chinoises en tant que menaces diverses et multicouches. Le but de cet article est d'analyser les menaces qui ont conduit au début des États-Unis.

„ცივი ომის“ გააზრებისთვის: ბიპოლარიზმიდან
უნიპოლარიზმამდე

ეკატერინე ლომია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

E-mail: eka_lomia@yahoo.com

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამარჯვებული ქვეყნების ლიდერებმა ე.წ. „დიდი სამეული“ შექმნეს, აშშ-ის (ამერიკის შეერთებული შტატები), სსრკ-ისა (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებით. სწორედ ფრანკლინ დელანო რუზველტს, იოსებ სტალინსა და უინსტონ ჩერჩილს უნდა გადაეწყვიტათ მსოფლიოს სამომავლო ბედი და ის, თუ როგორი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომისშემდგომი „ახალი მსოფლიო წესრიგი“. უინსტონ ჩერჩილი მიზნად ისახავდა ისეთი მსოფლიო ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც გლობალურ პრობლემებს მოაგვარებდა. მისი ღრმა რწმენით, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს პოლიტიკური ცვლილებებისა და ძალთა ბალანსის გამომხატველი ახალი ეპოქის დასაწყისი. სწორედ, აღნიშნული პათოსით იყო განპირობებული 1943 წლის თეირანისა და 1945 წლის იალტის კონფერენციები „დიდ სამეულს“ შორის.

რუზველტს მიაჩნდა, რომ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) უნდა ყოფილიყო, ხოლო ე.წ. „ოთხ პოლიციელს“, აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ჰარმონიული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მსოფლიოს სხვა დიდ თუ პატარა სახელმწიფოებთან, ომისშემდგომ მსოფლიოში წესრიგისა და სამართლიანობის დამყარებისთვის უნდა ეზრუნათ.

ამერიკის პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც იოსებ სტალინისადმი განსაკუთრებული სიმპათიებით გამოირჩეოდა, ჩერჩილი პირდაპირ საფრთხეს ხედავდა საბჭოთა რეჟიმში მიმართ და თვლიდა, რომ „კაცობრიობის ისტორიაში ყველა ტირანიათა შორის ყველაზე საშინელი, დამანგრეველი და საზიზღარი ბოლშევიკური ტირანიაა“ (აბაშიძე, 2009, გვ. 11). ჩერჩილი არც შემცდარა, სტალინის უმთავრეს მიზანს მისი „პერსონის, რეჟიმის, ქვეყნისა და იდეოლოგიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ წარმოადგენდა. ამ მიზნის განხორციელების გზაზე კი ევროპის კონტინენტზე უმთავრეს გამოწვევად ომისშემდგომი ძალთა ბალანსისა და წესრიგის შენარჩუნება წარმოადგენდა. რასაკვირველია, აღნიშნული სტრატეგია ფუნდამენტურად მიუღებელი იყო როგორც აშშ-ის, ასევე დიდი ბრიტანეთისთვის, ვინაიდან ისინი არ დაუშვებდნენ ევროპელებისთვის, მათგან განსახვავებული რეჟიმისა და ცხოვრების წესის გავრცელების მცდელობას.

XX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს, მას შემდეგ რაც დამარცხებული გერმანიის ტერიტორია საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი

ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ ოთხ საოკუპაციო ზონად გაიყო, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ფაშიზმის „სანაცვლოდ“, კომუნისტური რეჟიმის დამყარებას მიჰყო ხელი. შედეგად, აშშ და მისი მოკავშირე დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები მიზანმიმართულად დაუპირისპირდნენ საბჭოთა კავშირს და შეიქმნა ე.წ. „საბჭოთა კავშირის აგრესიის შეკავების თეორია“, რომელიც ისტორიაში ასევე „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ დაპირისპირების სახელწოდებით შევიდა.

ტერმინი „ცივი ომი“ ამერიკელ ჟურნალისტ ჰ. სვოუპს ეკუთვნის და ფართოდ გამოიყენება XX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაციის აღსანიშნავად, ომისშემდგომი მსოფლიოს ორ დომინანტ აქტორს, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. დაპირისპირება, ერთი მხრივ, აშშ-სა და მის მომხრე სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, თითქმის ორმოცდაათი წელი გრძელდებოდა და გამოხატავდა საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ სურათს, რომელშიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა (Leffler & Painter, 2005).

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ცივი ომის“ თავდაპირველ საწყისად ჩერჩილის მიერ 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ) წარმოთქმული მოხსენება უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აშშ-ს მოუწოდა შეექმნათ ინგლის-ამერიკის კავშირი, კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. „...ბალტიის შეტინიდან ადრიატიკის ტრიესტამდე კონტინენტზე დაეშვა რკინის ფარდა. ფარდის მიღმა დარჩა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ქვეყნების ყველა დედაქალაქი - ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია. ყველა ეს განთქმული ქალაქი, და მოსახლეობა მის რაიონებში, დარჩა იმ საზღვრებში, რასაც მე ვუწოდებ საბჭოთა სფეროს. ყოველი მათგანი ამა თუ იმ ფორმით ექვემდებარება არა მხოლოდ საბჭოურ გავლენას, არამედ მოსკოვის მნიშვნელოვან და სულ უფრო მზარდ კონტროლს... კომუნისტური პარტიები, რომლებიც ძალიან მცირერიცხოვანი იყო ამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მიილტვიან რომ ყველაფერზე დაამყარონ ტოტალური კონტროლი...“ - აღნიშნავდა ჩერჩილი (Churchill, 1946).

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომიდან აშშ გამარჯვებული გამოვიდა, მისი, როგორც უდიდესი სახელმწიფოს სტატუსი განსაკუთრებით გაიზარდა ომის დასრულების შემდეგ, როდესაც აშშ ამჯერად ზესახელმწიფოდ მოეწონა მსოფლიოს, ახალი ისტორიული მისია შესძინა მას და საფუძველი ჩაუყარა „დიადი ამერიკის“ იდეას. ამასთანავე, არანაკლებ მიმზიდველი ხდება საბჭოთა კავშირი და მისი ბელადი იოსებ სტალინი, რომლის ინტერესები გლობალურ ხასიათს იძენს და რომელსაც უმაღლეს ფაზაში აჰყავს კრემლის საერთაშორისო ავტორიტეტი (აბაშიძე, 2009, გვ. 12-13).

„ცივი ომს“ უკავშირდება სამხედრო კავშირების სისტემის შექმნა, რომელთაგან მთავარი ძალები წარმოადგენდა კაპიტალისტური ბანაკის ბლოკის-ნატოს (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია), ხოლო სოციალისტური ბანაკი -ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას. „ცივი ომისთვის“ ასევე დამახასიათებელი იყო დაპირისპირებული მხარეების მიერ სამხედრო ხარჯების მკვეთრი ზრდა, საერთაშორისო ბაზების შექმნა უცხოეთის სახელმწიფოებში, კრიზების პროვოცირება ე.წ. განვითარებადი სახელმწიფოების ტერიტორიებზე და სხვა (Reffler & Painter, 2005).

„ცივი ომის“ პერიოდში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მისი იზოლაციონისტური პოლიტიკა უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით შეიცვალა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულების გარანტორი გახდა, როგორც დასავლეთის, ანუ კაპიტალისტური სამყაროს ერთპიროვნული ლიდერი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის გავრცელების შესაჩერებლად, აშშ-მა ისეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა, როგორებიცაა ნატოს სამხედრო ბლოკის შექმნა, მარშალის გეგმა, საბერძნეთისა და თურქეთისთვის სამხედრო მხარდაჭერა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნატო-ში გაწევრიანება და ა.შ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვნული სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა, უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. 1985 წლიდან მიხეილ გორბაჩოვის მიერ ინიცირებული ეგრეთ წოდებული „პერესტროიკა“ (გარდაქმნის პოლიტიკა), რომელიც საბჭოთა კავშირში სისტემური სახელმწიფო კრიზისის მოგვარებას სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური რეფორმებით ითვალისწინებდა, რეალურად, უშედეგო და ამავდროულად საბედისწერო აღმოჩნდა. როგორც გამოჩენილა ფრანგმა ისტორიკოსმა და პოლიტიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა მოსწრებულად აღნიშნა, „ყველაზე სახიფათო მომენტი ბოროტი ხელისუფლებისთვის მაშინ დგება, როდესაც ის საკუთარი თავის გარდაქმნას ცდილობს“ (Tocqueville, 1856).

XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს საერთაშორისო ურთიერთობებში გარდამტეხი ცვლილებები ხდება. ბერლინის კედლის ნგრევას და ვარშავის ხელშეკრულების დაშლას აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის რღვევა მოჰყვა შედეგად, მოგვიანებით კი თვით საბჭოთა კავშირიც დაიშალა. დასრულდა ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემა, რომელიც „ცივი ომის“ საწყის ეტაპზე (50-იანი წლების შუა ხანებამდე) - ხისტი, ხოლო მოგვიანებით კი (50-იანი წლებიდან „ცივი ომის“ დასასრულამდე) რბილი ბიპოლარული სისტემით ხასიათდებოდა. 1992 წლის დამდეგისთვის, როდესაც საბჭოთა კავშირი როგორც სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა, „ცივი ომი“ ისტორიის კუთვნილება გახდა.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის დასრულებამ ფუნდამენტურად შეცვალა ძალთა ბალანსი დაპირისპირებულ მხარეებს შორის

და მსოფლიო წესრიგი სრულიად განსხვავებულ ფაზაში გადაიყვანა. წარმოიშვა საჭიროება იმისა, რომ ყოფილ მეტოქეებს ახლებურად გაეაზრებინათ შექმნილი ვითარება და ახალი რეალობა პრაგმატულად შეეფასებინათ. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის უდიდესი გაერთიანება, რომელიც მთელი ევრაზიის კონტინენტზე იყო გადაჭიმული და მცირე აზიის, სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ეროპის ჩათვლით უზარზმაზარ ტერიტორიებს ფლობდა, დაინგრა და ლიბერალურმა დემოკრატიამ, აშშ-სა და მისი მომხრე სახელმწიფოების სახით, პირწმინდად გაიმარჯვა კომუნიზმთან ბრძოლაში.

„ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში, ზესახელმწიფოებს შორის იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და მორალზე დაფუძნებული „ლიბერალური მშვიდობის“ დამყარებას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც, მეორე მხრივ, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მოლოდინი ახლდა თან. ამრიგად, კონფრონტაციის დასრულებამ ახალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლებიც შეცვალა, რაც შემდეგი სახით გამოიხატა: წინააღმდეგობის გაწევა აგრესიის, კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და ექსპანსიონიზმისადმი; საბრძოლო არსენალის მინიმუმამდე შემცირება და კონტროლი; კონფლიქტების გადაჭრა მხოლოდ მშვიდობიანი გზით; ადამიანის უფლებების პატივისცემა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მსოფლიო წესრიგმა თავისი პირველი „გამოცდა“ წარმატებით ჩააბარა, 1991 წელს სპარსეთის ყურის კრიზისმა და უფრო მოგვიანებით, კი ნატო-ს მიერ განხორციელებულმა საჰაერო ოპერაციებმა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, საერთაშორისო ურთიერთობები ახალ ზნეობრივ განზომილებაში მოაქცია, რომელმაც „ჰუმანიტარული ჩარევის“ პოლიტიკაში ჰპოვა ასახვა.

ფრენსის ფუკუიამამ-იაპონური წარმოშობის ამერიკელმა ფილოსოფოსმა და პოლიტოლოგმა თავის ნაშრომში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ შემოგვთავაზა „ისტორიის დასასრულის“ კონცეფცია. მისი თეზისის მიხედვით, „ცივი ომის“ დასრულება და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება, შესაძლოა მოწმობდეს „კაცობრიობის სოციო-კულტურული ევოლუციის ბოლო წერტილს და ადამიანური მმართველობის უკანასკნელ ფორმას“ (Fukuyama, 1992). ფუკუიამას მოსაზრებით, ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვება ცალსახად ამტკიცებს, იმას, რომ დასრულდა კაცობრიობის უდიდესი ეტაპი, რომელმაც წერტილი დაუსვა გაუთავებელ ომებს, კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს საერთაშორისო პოლიტიკის დომინანტ აქტორებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ავითარებს გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის იდეებზე დაფუძნებული „დემოკრატიული მშვიდობის თეორიას“. არნიშნული თეორია ლიბერალური და ნეოლიბერალური თეორიების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი და ეფუძნება მოსაზრებას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ, ვინაიდან მათ ისეთი საერთო ფუნდამენტური ღირებულებები აერთიანებთ, როგორცაა: საყოველთაო

თავისუფლება და თანასწორობა, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დაყოფა, საზოგადოების კონტროლი სახელმწიფოზე-როგორც დემოკრატიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი და სხვა (Reiter, 2017).

ფუკუიამას მიხედვით, „ისტორიის დასასრული“ გულისხმობს „არა ცდომილებათა რიგის, მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შეწყვეტას, არამედ დასასრულს იმ ისტორიისა, რომელიც მოიაზრება ერთიან ევოლუციურ პროცესად ყველა ხალხისა და ყოველი დროის ერთობლიობაში“ (Fukuyama, 1992). მეცნიერის თვალსაზრისით, ლიბერალური დემოკრატია არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ჭრილშიც ერთადერთი პრაგმატული მმართველობის ფორმაა, რომლის თავისუფალი ბაზრის პრინციპმა განვითარებად ქვეყნებშიც ეკონომიკური დოვლათი შექმნა.

ფრენსის ფუკუიამასგან განსხვავებით, სამუელ ჰანტინგტონი ნაშრომში „ცივილიზაციათა შეხლა“ ამტკიცებს, რომ „ცივი ომის“ დასრულებით გაღრმავდა ურთიერთობები დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის, იდეოლოგიათა დაპირისპირების „რკინის ფარდა“ კი „ხავერდის ფარდამ“ ჩაანაცვლა; თუ ადრეულ ხანაში კონფლიქტები და ომები წარმოებდა მეფეებსა და იმპერატორებს შორის, რომელმაც თავის მხრივ სახელმწიფოები წარმოშვა, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, კონფლიქტები მიმდინარეობს უკვე ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე, რომელიც ფაქტოვრივად მთელი XX საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. მეცნიერი გამოყოფს რვა განსხვავებულ ცივილიზაციას და ამტკიცებს, რომ მომავლის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები წარმოიშობა „ცივილიზაციათა გამმიჯნავი ხაზების გაყოლებით“ (Huntington, 2000). ამგვარად, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ცივილიზაციათა შორის კონფლიქტების ომში გადაზრდას ჰანტინგტონი ძალიან რეალურად უყურებდა. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა ნაწილობრივ გაამართლა ჰანტინგტონის თეზისი. განსაკუთრებით კი აღნიშვნის ღირსია XXI საუკუნეში მიმდინარე მძლავრი ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რომელიც კიდევ ერთხელ კითხვის ნიშანს ჰბადებს და გვაფიქრებინებს, უზრონველყო თუ არა უნიპოლარიზმმა და ლიბერალიზმის გამარჯვებამ მსოფლიოში „კანტისეული“, უნივერსალური მშვიდობის დამყარება.

დასკვნა

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც საბჭოთა კავშირის კრიზისს მოგვიანებით მისი დაშლა მოჰყვა შედეგად, კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიო წესრიგის ძირითადი ვექტორები. თუ, „ცივი ომის“ დაპირისპირების მთელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე დასავლეთი უპირობო ლიდერად მიიჩნეოდა, ხოლო საბჭოთა კავშირი

მისი ბირთვული პოტენციალის წყალობით, აშშ-ის საპირწონე ძალას ქმნიდა აღმოსავლეთში, 1980-იანი წლების ბოლოდან ნათელი ხდება ვაშინგტონის უალტერნატივო ლიდერობა და საბჭოთა კავშირის სრული მარცხი.

სწორედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მრავალეროვნული და მრავალეთნიკური სოციალისტურ-ცენტრალიზებული გაერთიანების დაშლის შედეგია ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მმართველობის საუკეთესო და უნივერსალური ფორმის პრიმატი. მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ლიბერალური დემოკრატია, სწორედ „ცივი ომის“ ერთგვარი პროდუქტია, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა არა მარტო XX საუკუნის, არამედ XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი და ბიპოლარული მსოფლიო უნიპოლარული მოდელით ჩაანაცვლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, ზ., (2009). “ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელიობა”. თბ.;
2. Churchill, W., (1946). “speech-iron curtain”;
3. Fukuyama, F., (1989). “The end of history? The national interest”. (16), pp.3-18;
4. Leffler, M.P., and Painter, D.S. eds., (2005). “Origins of the Cold War: an international history”. Psychology Press;
5. Huntington, S.P., (2000). “The clash of civilizations? In Culture and Politics” (pp. 99-118). Palgrave Macmillan, New York;
6. Reiter, D., (2017). “Democratic peace theory”.

„ცივი ომის“ გააზრებისთვის: ბიპოლარიზმიდან უნიპოლარიზმამდე
ეკატერინე ლომია
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
E-mail: eka_lomia@yahoo.com

რეზიუმე

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ სრულიად შეცვალა მსოფლიოს გეოპოლიტიკური ვექტორები. ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებას აშშ-სა და რუსეთის ზესახელმწიფოებად ქცევა, ნატოს, გაეროსა და ვარშავის პაქტის შექმნა და „ცივი ომის“ დაწყება მოჰყვა შედეგად. ყოფილ მოკავშირეებს, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირება კი მრავალწლიან კონფრონტაციაში გადაიზარდა. სტატიის მიზანია ძირითად კონტურებში შუქი მოჰფინოს „ცივი ომის“ პერიოდის გეოპოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სამხედრო კონფიგურაციას. მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია აღნიშნული ეპოქის გარდამტეხი მოვლენების რეტროსპექტული ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: „ცივი ომი“, აშშ, რუსეთი, გეოპოლიტიკა, ლიბერალური დემოკრატია

Understanding the Cold War: From Bipolarism to Unipolarism

Ekaterine Lomia
Ph.D. Candidate in Political Science
Caucasus International University
E-mail: Ekaterine.lomia@ciu.edu.ge

Summary

The end of World War II completely changed the geopolitical vectors of the world. Following the victory of the anti-Hitler coalition, the United States and Russia became superpowers. Other significant products of the World War II are the creation of NATO, the UN and the Warsaw Pact. The most importantly, it also resulted in a challenging start to the “Cold War”, in which the clashes of interests between the former allies, the United States, and the Soviet Union have eventually escalated into a mutual confrontation between the powers which lasted for almost forty-five years. The aim of the article is to highlight the geopolitical, ideological and military configuration of the “Cold War” period. Based on the secondary sources, the article provides a retrospective analysis of the turning events of the “Cold War” epoch.

Keywords: “Cold War”, USA, Russia, geopolitics, liberal democracy.

Comprendre la Guerre Froide: De la Bipolarisme à L'unipolarisme

Ekaterine Lomia

Doctorat Candidat en Science Politique

Université Internationale du Caucase

Courriel: Ekaterine.lomia@ciu.edu.ge

Résumé

La fin de la Seconde Guerre mondiale a complètement changé les vecteurs géopolitiques du monde. Après la victoire de la coalition anti-hitlérienne, les États-Unis et la Russie sont devenus des superpuissances. La création de l'OTAN, des Nations Unies et du Pacte de Varsovie sont d'autres produits importants de la Seconde Guerre mondiale. Plus important encore, cela a également entraîné le début de la «guerre froide», au cours de laquelle les affrontements d'intérêts entre les anciens alliés, les États-Unis et l'Union soviétique ont finalement dégénéré en une confrontation mutuelle entre les puissances. Le but de l'article est de mettre en évidence la configuration géopolitique, idéologique et militaire de la période de la «guerre froide». À partir des sources secondaires, l'article propose une analyse rétrospective des événements marquants de l'époque de la «guerre froide».

Mots-clés: «Guerre froide», États-Unis, Russie, géopolitique, démocratie libérale.

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკაში

როინ გრძელიშვილი

ქ.თბლისის 158-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენენ. ბოლო ათწლეულებში ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა უდიდესი მსოფლიო-სამეურნეო დანიშნულება შეიძინეს, რომელიც დიდ გავლენას ახენს მსოფლიო მეურნეობის სივრცით ორგანიზებასა და მათ შორის სხვადასხვა დონის ინოვაციების დანერგვაში (ტექნოლოგიური, მარკეტინგული, საორგანიზაციო და ბიზნეს-ინოვაციები). მსოფლიო მეურნეობის სულ უფრო განვითარებასთან ერთად, ნაციონალური ფირმების მეტი და მეტი ნაწილი ერთვება საერთაშორისო საქმიანობაში, რომელთა გარდაქმნა და გაფართოებაც საბოლოოდ წაარმოშობს ტრანსნაციონალურ კორპორაციას.

დღეს მსოფლიოში 100 000-ზე მეტი ტრანსნაციონალური კორპორაციაა. მათი საზღვარგარეთული ფილიალის რაოდენობა 860 ათასია, ხოლო მათში დასაქმებულთა საერთო რიცხვი, 2019 წლის მონაცემებით, 86 მილიონ ადამიანს უტოლდება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების უკან უმეტესწილად აშშ-ი, იაპონია და ევროპის განვითარებული ქვეყნები დგანან. მათზე მოდის უსმხვილესი ტნკ-ის 90%-იდან 70-ი%. განვითარებად ქვეყნებში უკვე ბაზირებულია 30 ათასი ტნკ. მათგან 100 უმსხვილესი გაერთიანება 7.5 ტრილიონი დოლარის აქტივებს ფლობს. (ასი უმსხვილესი ტნკ-ს აქტივების ღირებულების 48%), ხოლო 2 ტრილიონი დოლარზე მეტი საზღვარგარეთული აქტივების წილხვედრია. განვითარებადი ქვეყნების ტრანსნაციონალიზაციის პროცესში ლიდერობს ჩინეთი, რომლის უმსხვილესი კომპანიები მსოფლიო წამყვანი ტნკ-ს 8% შეადგენს.

შრომის ტრანსნაციონალური დანაწილება ფირმათშორისი და შიდასაფირმო შრომის დანაწილების გაღრმავების მეშვეობით ხორცილდება - სხვადასხვა ქვეყნებში ტნკ-ს საწარმოო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის საფუძველზე.

ტრანსნაციონალური კორპორაცია წარმოადგენს უმძლავრეს ზეეროვნულ ძალას, რომელიც თავისი საქმიანობს ანხორციელებს მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ორგანიზებას და შრომის საერთაშორისო დანაწილების დიდი ნაწილის შიდაკორპორაციულ სეგმენტში გადმოტანის მეშვეობით. მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საკუთრების ძალზედ რთული სტრუქტურა გააჩნიათ: რაც უფრო მსხვილია კომპანია, მით უფრო რთული მისი საკუთრების სტრუქტურა.

XX საუკუნის მიწურულისთვის დამახასიათებელი ღია დაპირისპირება სახელმწიფოსა და ტნკ-ს შორის შეიცვალა სხვადასხვა დონის ღიაობით. ქვეყნების

მიერ ტნკ განიხილება, როგორც ინტერნაციონალური რესურსების ნაციონალურ ეკონომიკაში მოზიდვის ინსტრუმენტი, ხოლო ტნკ სახელმწიფოს განიხილავს, როგორც ფინანსების და სხვა სახის დახმარებების მიღების წყაროს საერთაშორისო კრიზისებისას. ამგვარ პირობებში სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენენ სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელიც მსოფლიოში უკვე 1.5 ათასზე მეტს ითვლის. (33% ბაზირებულია ევროპაში, 45 % ჩინეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში), ხოლო მათი საზღვარგარეთული ფილიალების რაოდენობამ უკვე მიაღწია მსოფლიოში არსებული ტნკ-ს ფილიალების 10%. სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციების ლიდერია ჩინეთი (18%), რომელსაც ჩამორჩება მალაიზია (5%), ინდოეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (4-4%) და რუსეთი (3%).

სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციების მცირერიცხოვნობის მიუხედავად, მსოფლიო მეურნეობაში მათ დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ. მათი საზღვარგარეთული აქტივების ღირებულება 1 ტრილიონ დოლლარს აღემატება. სახელმწიფო ტნკ-ს დარგობლივი სტრუქტურა ფინანსური მომსახურების და მოპოვებითი მრეწველობის სფეროებშია შერეული: სახელმწიფო ტნკ-ს 70% მუშაობს მომსახურების სფეროში, 23% გადამამუშავებელ მრეწველობაში, 8 % ნედლეულის სექტორში.

ცხრ.1. უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები საზღვარგარეთული აქტივების მოცულობით. 2018წ

№	კორპორაცია	დარგი	ბაზირების ქვეყანა	საზღ. აქტივები მლნ.დ	ტრანსნაციონალურობის ინდექსი, %
1	Royal Dutch Shell	ნავთობის	დიდი ბრიტანეთი	343 713	75,3
2	Toyota Motor Corporation	საავტომობილო	იაპონია	300 384	50,8
3	BP	ნავთობის	დიდი ბრიტანეთი	254 533	85,9
4	Softbank	ტელეკომუნიკაციები	იაპონია	240 305	66,3
5	Total	ნავთობის	საფრანგეთი	233 692	74,9
6	Volkswagen Group	საავტომობილო	გერმანია	224 191	60,0
7	British American Tobacco	თამბაქოს	დიდი ბრიტანეთი	185 974	85,7
8	Chevron Corporation	ნავთობის	აშშ	181 006	63,4
9	Daimler AG	საავტომობილო	გერმანია	169 115	59,7
10	Exxon Mobil Corporation	ნავთობის	აშშ	168 053	42,6

UNCTAD; WIR 2019

ტრანსნაციონალური კორპორაციების განსაკუთრებული აქტიურობის სფეროებს მიეკუთვნება მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა, ნავთობმრეწველობა, ფარმაცეპტიული მრეწველობა, ტელეკომუნიკაციები, კომუნალური მეურნეობა, კვების და თამბაქოს წარმოება. განსაკუთრებით მომგებიანი აღმოჩნდნენ ფარმაცეპტიულ მრეწველობაში ჩართული ფირმები. გადამამუშავებელ მრეწველობაში ჩართული ტნკ-ი ჩამორჩებიან საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სფეროში მომუშავე ციფრულ კომპანიებს, რომლებიც ინტერნეტ-პლატფორმების შექმნით, ელექტრონული ვაჭრობით და ციფრული კონტენტით არიან დაკავებულები (Alphabet (Google), Apple, Amazon, Microsoft, Oracle, Samsung, SAP Sony Deutsche, Telekom, Softbank, Vodafone).

ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის სივრცული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება საორგანიზაციო მხარე. თანამედროვე კომპანიების მართვა, რომლებიც აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას ეწევიან, უმჯობესია განვიხილოთ როგორც ტრანსნაციონალური მენეჯმენტის ცალკე აღებული სისტემა. რომლის განვითარების მამოძრავებელი ძალაა განსხვავებულ გეოგრაფიულ პირობებში ბიზნესის წარმოება, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ მიდგომას საჭიროებს.

ცხრ.2. უმსხვილესი სახელმწიფო ტრანსნაციონალური კომპანიები

	კორპორაცია	ბაზირების ქვეყანა	დარგი	სახელმწიფოს მფლობელობის წილი, %
1	Volkswagen Group	გერმანია	სავტომობილო	20
2	Enel SpA	იტალია	ელექტროენერგია, წყალი, გაზი	23,6
3	Deutsche Telekom AG	გერმანია	ტელეკომუნიკაციები	17,4
4	EDF SA	საფრანგეთი	ელექტროენერგია, წყალი, გაზი	84,6
5	Eni SpA	იტალია	ნავთობის	25,8
6	China COSCO Shipping Corp.	ჩინეთი	ტრანსპორტი, სასაწყობე საქმე	100
7	Nippon Telegraph & Telephone Corp	იაპონია	ტელეკომუნიკაციები	32,4
8	Airbus Group NV	საფრანგეთი	საავიაციო	11,1
9	Engie	საფრანგეთი	ელექტროენერგია, წყალი, გაზი	32,0
10	Orange SA	საფრანგეთი	ტელეკომუნიკაციები	13,5

UNCTAD; WIR 2017, 2019

ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებმაც გადალახეს ეროვნული სახელმწიფოების საზღვრები, დამკვიდრებულ ქვეყანაში საკუთარ მართველობით კულტურას ქმნიან - მცირედი განსხვავებებით, რომელიც დამოკიდებულია ინტენსივობასა და ურთიერთქმედების ხარისხზე საზღვარგარეთული ფილიალების მმართველობით კულტურასთან.

საზღვარგარეთული ფილიალების ორგანიზებით ტნკ-ი სხვა მმართველობით და შრომით კულტურებს თავის ტრანსნაციონალურ სისტემაში იზიდავენ და წარმატებით გადაამუშავებენ ფასეულობათა საკუთარი სისტემაში, ტექნოლოგიურ პროცესებში და ა.შ. ტრანსნაციონალური მენეჯმენტი მსოფლიო სამეურნეო მართველობით სისტემაში მიღწეულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული, რომლის ელემენტი ხელმისაწვდომია და შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერმა კომპანიამ კონკრეტული გეოგრაფიულ პირობებთან შესაბამისობაში. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ტრანსნაციონალური მენეჯმენტი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც პლატფორმა, რომელზეც იქმნება ტნკ-ს საზღვარგარეთული სეგმენტის მენეჯმენტი. კომპანიის საორგანიზაციო და ტერიტორიულ-ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულე, ნაწილობრივ ქსელურის, განსაზღვრავს ტრანსნაციონალური მენეჯმენტის ელემენტის სამოდულო გამოყენების შესაძლებლობებს ანუ ელემენტების სრულ ნაკრებს, რომელიც დამახასიათებელია ტრანსნაციონალური მმართველობითი სისტემისთვის დამოკიდებულ მრავალ ფაქტორზე და შესაძლოა აღმოჩნდეს ინდივიდუალური.

ელემენტების შერჩევასა და დიდი მნიშვნელობა აქვს: მასში კომპანიისა და დარგის მდგომარეობას (განსაზღვრავს ტექნოლოგიის ელემენტებს და მარკეტინგულ სტრატეგიას). ცხოვრებისეული ციკლის, რომელშიც კომპანია და მისი ცალკეული ქვეგანყოფილებები იმყოფებიან (უფრო ნაკლებად მომწიფებული კომპანიები და ქვეგანყოფილებები იყენებენ უფრო აგრესიულ სტრატეგიას); კომპანიის საორგანიზაციო და ორგანიზაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა (განსაზღვრავს საკადრო პოლიტიკას, ოპერაციულ მოდელს); XXI საუკუნის გლობალურ ტნკ-ს თავის არსენალში უნდა გააჩნდეს არა ერთი და ორი ფართოსპექტრის ბიზნეს-მოდელი, არამედ, პრაქტიკულად ბიზნეს-მოდელების მთელი ნაკრები, რომლებიც ეფექტურად იმუშავენ კომპანიის ყველა რეგიონალურ ბაზარზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისთვის, როლებიც პირობების დიდი სახესხვაობით ხასიათდებიან.

ყველაზე მეტი წვლილი თანამედროვე ეტაპზე ტნკ-ს მენეჯმენტის განვითარებაში შეიტანეს ამერიკულმა და იაპონურმა ტნკ-მა, რომელთა მმართველობითი სისტემები ეფექტური მართვისთვის სამაგალითოა. შეუძლებელია უარვყოთ მათი კოლოსალური გავლენა მთელი მსოფლიოს მმართველობით სისტემებზე. იქიდან დაწყებული, რომ თანამედროვე მენეჯმენტი თავისი წარმოშობით ამერიკულია, დამთავრებული იმით, რომ არ მოიძებნება

ქვეყანაზე კომპანია, რომლისთვისაც უცნობია სისტემა “ზუსტად-ვადაში”, ხარისხის კომპლექსური მართვით და კორპორაცია Toyota-ს მმართველობითი სისტემით. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტი კომპანიები იღებენ მონაწილეობას შრომის ტრანსნაციონალურ დანაწილებაში და განსაზღვრავენ მის სტრუქტურულ წინსვალს და ტრანსნაციონალური მენეჯმენტის გარდაუვალ განვითარებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მსოფლიო-სამეურნეო წარმატებები განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური მენეჯმენტის მზარდ გავლენას მსოფლიო მეურნეობის განვითარებაზე მათი საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობის მეშვეობით, რომელთა რაოდენობაც ყოველწლიურად მატულობს.

გლობალური შტაბ-ბინების შექმნით, ხშირად ვიტრუალური ფორმატით, გლობალური ტნკ-ი, როგორცაა Toyota, Volkswagen, Alphabet, Amazon ახდენენ ქსელური სტრუქტურების ორგანიზებას და სხვადასხვაგვარად იყენებენ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს და მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით ავრცელებენ ტრანსნაციონალური მენეჯმენტის მოდელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://unctad.org/en/Pages/DIAE/DIAE%20Publications%20-%20Bibliographic%20Index/Transnational_Corporations_Journal.aspx
2. Богаевская О. В. Американские корпорации: механизмы сохранения лидерства в глобальной экономике. М., 2012.
3. Леонтьева Е. Л. Японские корпорации и корпоративные группы. Эволюция институтов М, 2009
4. Пашин, С.Т. «Функционирование транснациональных компаний: организационно-экономическое обеспечение», М.: Экономика, 2002г

ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკაში

როინ გრძელიშვილი

ქ. თბილისის 158-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

რეზიუმე

ტრანსნაციონალური კორპორაციების სწრაფმა განვითარებამ, მეტნაკლებად ურთიერთდაკავშირებული ქვეყნებიდან მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოება ერთიან, მთლიან ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა, სადაც ნაციონალური ელემენტები ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ტნკ-ები ეკონომიკური გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

Transnational corporations in the world economy

Roin Grdzelishvili

Tbilisi 158-th Public School Geography Teacher

Resume

The rapid development of transnational corporations has transformed the world economic community from more or less interconnected countries into a single, whole economic system, where national elements are an integral part of a single world economic organism. TNCs are a major driver of economic globalization.

Les sociétés transnationales dans l'économie mondiale

Roin Grdzelishvili

Tbilisi 158-e professeur de géographie dans les écoles publiques

Résumé

Le développement rapide des sociétés transnationales a transformé la communauté économique mondiale de pays plus ou moins interconnectés en un système économique unique et complet, où les éléments nationaux font partie intégrante d'un seul organisme économique mondial. Les STN sont le principal moteur de la mondialisation économique.

**რუსეთის ჰიბრიდული საფრთხეები შავ ზღვაზე და
საქართველოს, როგორც აშშ პარტნიორის მნიშვნელოვანი როლი**

**ნატო ჯიაძე
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობის ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი ვალდებულებები შავი ზღვის მიმართ, მას შემდეგ რაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია 2014 წელს და დაიწყო კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში. მიუხედავად იმისა რომ არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედის პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია, მაინც არსებობს რუსეთის მხრიდან პროვოკაციების მოწყობის და მოულოდნელი შეტაკებების საშიშროება.

იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება განსაზღვრავს ევროპის, ევრაზიის, ბალკანეთის და შუა აღმოსავლეთის უსაფრთხოებას აუცილებელია რეგიონში მტკიცე კოლექტიური სტრატეგიის შემუშავება რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხეების გასაწინააღმდეგოდ. (ნილ ჯ.მელვინი, 2018).

ნატო შავ ზღვას განიხილავს როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალს, რადგან მას სამხედრო თვალსაზრისით, დიდი ადგილი უჭირავს ევროპული კოლექტიური თავდაცვის სისტემაში, ამავდროულად ის რუსეთთან გამკლავების ერთ-ერთ ფრონტს წარმოადგენს. სხვადასხვა კონფლიქტებისა და დაპირისპირების ფონზე ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შავი ზღვის რეგიონის უფართოებას.

აშშ-ის თავდაცვის ოფიციალური პირები და ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ძირითადად ჩინეთიდან მომავალ საფრთხეებზე, თუმცა მათი მხრიდან რუსეთის იგნორირება შეცდომა იქნებოდა. აშშ-სთვის ჩინეთი წარმოადგენს უფრო სერიოზულ საფრთხეს ვიდრე რუსეთი, ვინაიდან რუსეთის სუსტ ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწევს მზარდი მოსახლეობა და მზარდი სამხედრო ხარჯები. რუსეთს არ შესწევს ძალა ისეთი სწრაფი ტემპით განვითარდეს, როგორც ვითარდება ჩინეთი და აშშ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ რუსეთიდან რაიმე საფრთხე არ შეიძლება შეექმნას აშშ-ს და მის მოკავშირეებს უახლოეს მომავალში. (გ.კოვარდი, 2020).

ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობა ხშირად კონფლიქტით სრულდება. ეს კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც გაძლიერებული ახალი დერჟავა საერთაშორისო სისტემაში გაბატონებულ ზესახელმწიფოს უპირისპირდება და მას ჰეგემონის სტატუსს ეცილება. ეს ფენომენი ცნობილია თუკიდიდეს ხაფანგის სახელით. ჰეგემონი იწყებს კონფლიქტს, რომ არ დაუმვას ახალი დერჟავის აღზევება და საერთაშორისო

სისტემაში გაბატონება. თუ აშშ ამ თუკიდედეს მახეში გაბმული აღმოჩნდება, მაშინ ის უნდა იყოს მზად რომ იბრძოლოს აღმოსავლეთში, მაგრამ თავიდან უნდა აიცილოს ორ ფრონტზე ომი რუსეთთან დასავლეთში. აშშ-ს მთელი თავისი ყურადღება გადატანილი ექნება აღმოსავლეთის ფრონტზე და რუსეთი შეეცდება ამ სიტუაციის სათავისოდ გამოყენებას და დასავლეთის ფრონტზე უპირატესობის მოპოვებას. დიდი ალბათობით რუსეთი ნატოს ძალებს დაუპირისპირდება, რომ შეამოწმოს მათი სიძლიერე და სამხედრო მზადყოფნა.

იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტი ორ ფრონტზე, აშშ-ს მზად უნდა ყავდეს თავისი მოკავშირეები, რომ საკუთარი ძალებით დაუპირისპირდნენ რუსეთს. ნატო-ს ჯარების ყოფილი სარდალი ადმირალი ჯეიმს სტავრიდი აღნიშნავს: „აშშ-ს მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მოკავშირეთა, პარტნიორებისა და მეგობრების ფართო ქსელის ქონა საერთაშორისო არენაზე.“ მოკავშირე ქვეყნები გაორმაგებული ძალებით უზრუნველყოფენ აშშ სამხედრო ძალების მხარდაჭერას რთულ ადგილებში, უზრუნველყოფენ ლოგისტიკურ მხარდაჭერას და მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციას აწვდიან მას. (G. Howard, 2020)

NATO-ს უსაფრთხოებას აღმოსავლეთ ფლანგაზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სიტუაცია შავი ზღვის რეგიონში. საქართველო ნატო-ს მნიშვნელოვანი პარტნიორია და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ალიანსის საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით და ამავდროულად ეფექტური პარტნიორობის პროგრამების განხორციელებით. საქართველოს და შავი ზღვის აუზის ქვეყნების თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, ხელს შეუწყობს ალიანსის შავი ზღვის სტრატეგიის შემუშავებას და გააძლიერებს ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოებას. (თ.ფხალაძე, 2020)

შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია მოაზრებული გლობალური უსაფრთხოების მოდელთან, რაც საქართველოს გადმოსახედიდან გაათმაგებულ დაკვირვებას, ანალიზსა და აწონილ-დაწონილ მოქმედებებს მოითხოვს. მის პრაქტიკულ ჭრილში გააზრებას და გადაწყვეტას პირდაპირ უკავშირდება საქართველოს უსაფრთხოება და განვითარება, ისევე როგორც რეგიონში სტაბილურობა და მოვლენათა პროგნოზირებადობა, რისკებსა და გამოწვევებზე დროული რეაგირებისა და პრევენციის მექანიზმების შემუშავება.

საუკუნეებია, რაც შავ ზღვას და მის მიმდებარე არეალს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა მსოფლიო პოლიტიკაში, სადაც უპირველესი და გადამწყვეტი სავაჭრო მიმოსვლის უზრუნველყოფა იყო. სავაჭროდან „დიდი გეოპოლიტიკური“ დაპირისპირების სიბრტყეში რეგიონის გადანაცვლება შავ ზღვაზე რუსეთის დამკვიდრებამ განაპირობა, ხოლო 1853 წლიდან მოყოლებული რუსული ინტერესი პრაქტიკულად უცვლელად მაღალი დარჩა. შავ ზღვაზე ჯერ ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ჭიდილში, ხოლო შემდეგ თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე ევროპული ინტერესების ამერიკის შეერთებული შტატებისა და

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ინტერესებით ჩანაცვლებამ, შავი ზღვის გეოგრაფიაში გავლენათა ბრძოლა თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა.(ვ.ყიფიანი, 2020)

ამავე რეალობის მტკიცე დასტურია ნატო-ს არაერთ განცხადებაში რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური როლის წარმოჩენა დაწყებული შავი ზღვის „ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისათვის რეგიონის მნიშვნელობის“ ხაზგასმით და გაგრძელებული ნატო-ს 2016 წლის ვარშავისა და 2018 წლის ბრიუსელის სამიტების დეკლარაციებით.

შავი ზღვა არის რუსეთის კარიბჭე მსოფლიოში, ხმელთაშუა ზღვასთან და ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი არეალი. მონტროს კონვენცია ზღუდავს იმ ქვეყნების სამხედრო ხომალდების შესვლას შავ ზღვაში, რომლებიც შავი ზღვის აუზს არ მიეკუთვნებიან. რუსეთი ხშირად აწესებს შეზღუდვებს შავი ზღვის დიდ სექციებზე, წვრთნების ჩასატარებლად და ფართო ტერიტორიებზე ზღუდავს წვდომას სატვირთო და სხვა სამხედრო-საზღვაო ხომალდებისთვის. ეს ქმნის იდეალურ ადგილს რუსეთისთვის მინიმალური ჩარევით ჩაატაროს წვრთნები. რუსეთმა მნიშვნელოვანი სახმელეთო ძალები გადაადგილა შავი ზღვის რეგიონში და შექმნა უდიდესი და ძლიერი სამხედრო ოლქი - აღჭურვილი ექვსი „ადმირალ გრიგოროვიჩის“ კლასის ფრეგატით და „კილოს“ კლასის წყალქვეშა ნავით, რომელზეც შესაძლებელია განთავსდეს „კალიბრის“ ტიპის გრძელმასშტაბიანი სარაკეტო სისტემები.

გამომდინარე იქიდან რომ შავი ზღვაზე რუსეთი აქტიურად იყენებს ჰიბრიდულ ტაქტიკას, რუსეთის შეკავების პოლიტიკა შავი ზღვის აუზის ქვეყნების, დასავლეთის და შეერთებული შტატებისათვის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

2008 წელს ჰიბრიდული ომის გამოყენებით რუსეთის საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრით, 2014 წელს განხორციელებული ყირიმის ანექსიით და მოგვიანებით მოლდოვის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიით რუსეთს მიეცა შესაძლებლობა, გამოეცადა ჰიბრიდული ომის ახალი ფორმები, გამოეყენებინა ახალი ტაქტიკები, შეეფასებინა აშშ-ისა და ნატო-ს საომარ ოპერაციებში ინტერვენციის მზაობა – ეს კი პოტენციურად წარმოადგენდა ნატო-ს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრის უფრო რთული ამოცანისთვის მზადებას. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მხოლოდ ძალაზე რეაგირებს, რის გამოც აშშ-ის სუსტმა გაფრთხილებებმა საქართველოს კონფლიქტის შემდეგ გაზარდა 2014 წელს უკრაინაში შეჭრის ალბათობა. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გადადგას მტკიცე ნაბიჯები შეკავების მკაფიო გზავნილით, რომ სხვაგან კონფლიქტის პრევენცია მოხდეს.

გარდა ჰიბრიდული ომისა რომელიც რუსეთმა აწარმოა ბოლო წლებში საქართველოსა და უკრაინაში, იგი საფრთხეს უქმნის ამერიკის თავისუფლებას ზღვაზე და საჰაერო სივრცეში, ასევე საფრთხეს უქმნის მის სავაჭრო მარშრუტებს.

რუსეთმა შავ ზღვაზე მიზნად დაისახა ხელი შეუშალოს აშშ-სა და მისი მოკავშირეების კოორდინირებულ ქმედებებს. (G.Howard, 2020).

აშშ საქართველოს პარტნიორობა

ამერიკელი სამხედრო ექსპერტის გრეის ჰოვარდის აზრით, პირველ რიგში, აშშ უნდა იქცეს შავიზღვისპირა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების ქვაკუთხედად, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში აშშ შეზღუდულად არის წარმოდგენილი. ადგილობრივი პარტნიორების კოლექტიურ შესაძლებლობებს არსებითი მნიშვნელობა ექნება რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ბუნებრივია საქართველოს როლი შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან კოლაბორაციაში უმნიშვნელოვანესია.

აშშ ყველა გლობალურ საფრთხეს ვერ გაუმკლავდება მარტო. მისთვის მნიშვნელოვანია ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები შავ ზღვაზე. რაც ხელს უწყობს აშშ ძალების გაორმაგებას ქვეყნის გარეთ. ძლიერი ალიანსი გულისხმობს ამერიკის და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღების სიტემის და ბატალიონების გაერთიანებას, ასევე დაზვერვის სამსახურების გაფართოებული ქსელს, რაც მთავარი საფუძველია რუსეთის აგრესიის შესაკავებლად. ამ მხრივ საქართველო ძლიერი პარტნიორია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კიდევ უფრო მკაფიოდ გააჟღერა ქვეყნის ურყევი გადაწყვეტილება, როცა განაცხადა, რომ საქართველო მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისგან შეიძენს სამხედრო ტექნიკას. ქვეყანამ შეამზადა საფუძველი, რომ გახდეს რეალისტური, წინსვლაზე ორიენტირებულ ადგილად მსხვილი სამხედრო ბაზებით და გაფართოების პოტენციალით, რაშიც მოიაზრება ორი კარგად განვითარებული შავიზღვისპირა პორტი და სამხედრო სისტემები, რომლებიც უკვე ინტეგრირებულია ამერიკულ შეიარაღებასა და დაზვერვის სისტემებთან.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის მნიშვნელოვანი გაზის მილსადენები და სავაჭრო მარშრუტები, რაც რუსეთის სუსტ წერტილს წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველო იქცა ფიზიკურ ბარიერად, რუსეთს და ახლო აღმოსავლეთს, ასევე კავკასიაში მის მოკავშირეებს შორის, რის შედეგად მან განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა რუსეთისთვის. აშშ-მა უნდა ითანამშრომლოს საქართველოსთან, რათა განავრცოს თავისი გავლენა შავი ზღვის რეგიონში და შეამციროს რუსეთის გავლენა ამ რეგიონში. (G.Howard,U.S.Navy-2020).

ნატო-ს მხარდაჭერა შავი ზღვის აღმოსავლეთ ფლანგის გასაძლიერებლად

ალიანსის მხრიდან მნიშვნელოვანია საქართველოს ჩართვა შავი ზღვის უსაფრთხოებაში, როგორც კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი აცხადებს ალიანსი ოთხ მკაფიო ნაბიჯს გადადგამს, რათა საქართველო შავი ზღვის უსაფრთხოებაში უფრო

მეტად ჩაერთოს: "უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უფრო მეტ აქტივობაში ჩაერთავთ, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ 'ჰიბრიდულ თავდაცვას'. საუბარი მაქვს იმ ხერხებისა და საშუალებებისგან თავის დაცვაზე, რომელსაც რუსეთი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ იყენებს, როდესაც მაგალითად, საქმე ეხება კიბერთავდასხმებს ან დეზინფორმაციას, ენერგეტიკულ ბლოკადას, შენიღბულ სადაზვერვო ან სამხედრო აქტივობას". (ჯ.აპატურაი, 2020).

ალიანსი განიხილავს ასევე ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებას უკრაინასა და საქართველოსათვის. თავდაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი, რაც ნატო-სთან საქართველოს დაახლოების მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

როგორც ალიანსის გენერალურმა მდივანმა სტონტელბერგმა განაცხადა ნატო-ს თავდაცვის მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება უფრო გააღრმავონ ურთიერთობა საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, რაც მოიცავს საჰაერო სივრცის რადარის მონაცემების გაზიარებას, ბრძოლას ერთობლივად ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ და ერთობლივი წვრთნების ჩატარებას შავ ზღვაზე. (სტოლტენბერგი, 2020).

„ჰერთიჯის ფონდის“ საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი -ლუკ კოფი - ფიქრობს, რომ შავი ზღვის რეგიონში უნდა გაიზარდოს ნატოს ფლოტი, რაც რეგიონში ალიანსის პოზიციებს დიდად გააძლიერებს. „ვფიქრობ, რომ შავი ზღვის რეგიონში უნდა გაიზარდოს ნატო-ს ფლოტი, რაც რეგიონში ალიანსის პოზიციებს დიდად გააძლიერებს“. ლუკ კოფმა წამოაყენა იდეა, რომლის თანახმადაც შავი ზღვის რეგიონისთვის სასარგებლო იქნება თუ ბათუმში ნატო-ს სერტიფიცირებული დახელოვნების ცენტრი განთავსდება. "ეს ცენტრი შესაძლოა იყოს ნატო-ს ტალინის კიბერთავდაცვითი ცენტრის ანალოგი", - განაცხადა ლუკ კოფიმ. მნიშვნელოვანია საჰაერო და სახმელეთო კომპონენტების არსებობა, როგორც საიმედო სტრუქტურის არსებობა შავი ზღვის რეგიონში. დახელოვნების ცენტრი საშუალებას მისცემს ნატო-ს წევრ ქვეყნებს და რეგიონალურ ექსპერტებს შეიკრიბონ და მოახდინონ რეაგირება გამოწვევებზე. მისივე აზრით: დღესდღეობით ნატო-ს შავი ზღვის რეგიონში 3 მთავარი ინტერესი აქვს:

"პირველ რიგში, შავი ზღვის რეგიონში 3 ქვეყანა - ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი ნატო-ს წევრები არიან და აშშ მათ ინტერესებს იცავს.

მეორე- აშშ ევროკავშირთან ერთად ცდილობს საქართველოსა და უკრაინაში შეინარჩუნოს სტაბილური და მშვიდობიანი გარემო. აშშ-ის ინტერესია ხელი შეუწყოს საქართველოსა და უკრაინას გახდნენ ევრო-ატლანტიკური გაერთიანების წევრები.

ბოლოს, რუსეთი არის დიდი ძალა შავი ზღვის რეგიონში. რუსეთი შავ ზღვას იყენებს საკუთარი გავლენის სფეროების გასაძლიერებლად. ამასთან, რეგიონი წარმოადგენს დერეფანს სირიისა და ლიბიის მიმართულებით, სადაც დღესდღეობით რუსეთის სამხედრო ინტერესები იკვეთება. შედეგად შავი ზღვა

რუსეთისთვის უფრო მეტია ვიდრე ზღვა. ჩემი აზრით, აშშ-მა შავი ზღვის რეგიონში საკუთარი წარმომადგენლობა უნდა გაზარდოს“, - განაცხადა ლუკ კოფი (Luke Coffey, 2020).

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავდაცვის დეპარტამენტთან ერთად მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს ნატოში გაწევრიანების გრძელვადიან გეგმას. ერაყში და ავღანეთში კონფლიქტის დროს საქართველომ გაზარდა თავისი კონტიგენტი ნატო-ს წვრთნებში. 2019 წელს საქართველო ხელმძღვანელობდა ნატოს წვრთნებს „Agile Spirit“. ადმირალმა ფოგომ ქართული ჯარის მონაწილეობა შეაფასა როგორც პროფესიული და კომპეტენტური. მან ასევე ხაზი გაუსვა რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობა.

ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას ართულებს ის ფაქტი რომ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული არის რუსეთის მიერ. 2008 წელს რუსეთმა მოახდინა ცხინვალის ოკუპაცია, ზუსტად ერთი თვის შემდეგ როდესაც ნატომ გამოაცხადა რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი. საფრანგეთმა და გერმანიამ რუსეთის შიშით მხარი არ დაუჭირა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. რუსეთმაც არ დააყოვნა და აგრესიით შეაჩერა საქართველოს ნატოში გაწევრიანება.

რუსეთი ადვილად ახორციელებს აგრესიას აშშ-ს მოკავშირეების - საქართველოსა და უკრაინის მიმართ, სარგებლობს იმით, რომ ისინი არ არიან ნატო-ს წევრები. გამომდინარე აქედან, ამერიკამ მტკიცედ უნდა იმოქმედოს და მხარი დაუჭიროს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, რომ რუსეთს დაანახოს, რომ თავისი აგრესიული ქმედებებით ვერ შეაჩერებს და ვეტოს ვერ დაადებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ეს გრძელვადიანი პერსექტივაა მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი რაც შედის ამერიკის ინტერესებში. (გ.ჰოვარდი,2020).

პარტნიორობა საქართველოსთან

შეერთებულმა შტატებმა უნდა გააგრძელოს ნატოს პარტნიორობის წვრთნა და განვითარება, თუმცა ამავე დროს უნდა გააძლიეროს საქართველო და უკრაინა, რომელთაგან არც ერთი არ არის ნატოს წევრი ქვეყანა. საქართველო არის იდეალური ქვეყანა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისათვის. საქართველოს კარგი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის მდებარეობს. თუმცა ახალი მოპოვებული აქვს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული სისტემის მშენებლობაც ახალი დაწყებული აქვს, ეს ქვეყანა მტკიცედ უჭერს მხარს აშშ-ს და მის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენს.

2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, რასაც მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია, საქართველო გახდა ამერიკის უფრო ძლიერი მხარდამჭერი და ნატოში გაწევრიანების უფრო დიდი

სურვილი გაუჩნდა. ერაყსა და ავღანეთში ომის დროს საქართველო იყო ყველაზე დიდი ნატოს არაწევრი კონტრიბუტორი ქვეყანა და მეორე ადგილზე იყო ჯარისკაცების რაოდენობით ამერიკის შემდეგ, მაშინ როდესაც რუსეთმა დაიწყო აგვისტოს ომი 2008 წელს. ქართველებმა თავიანთი ჯარი გაგზავნეს ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილებში, სადაც ამერიკულ ჯართან ერთად არიან გათავსებული ისეთ სახიფათო რეგიონებში, როგორც არის მაგალითად ჰელმანდის პროვინცია. ასეთ ცხელ წერტილებში ნატოს წევრი – ქვეყნებიც კი არიდებენ თავს თავიანთი ჯარების გაგზავნას. გარდა ამისა საქართველო ხარჯავს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტს ნატოს თავდაცვაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა რომ საქართველოს შეიარაღებას შეიძენს მხოლოდ აშშ-დან.

ქვეყანამ უკვე შექმნა ფუნდამენტი იმისათვის, რომ გახდეს მსხვილი სამხედრო ბაზების განთავსების არეალი. მას გააჩნია კარგად განვითარებული პორტები შავ ზღვაზე და სამხედრო სისტემა, რომელიც უკვე ინტეგრირებულია აშშ-ს იარაღთან და დაზვერვის სისტემასთან. ((გ.ჰოვარდი,2020).

ზომები რომელიც უნდა განახორციელოს - აშშ-მ რუსეთის შესასუსტებლად მიუხედავად იმისა რომ საქართველო ჯერ ჯერობით არ არის ნატოს წევრი ამერიკამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საქართველოსთან გაფართოებული ორმხრივი თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში. საქართველო ამერიკისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. ამერიკის ბაზების არსებობა საქართველოში დღესდღეობით არარეალურია, არა მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური პრობლემებისა და შეზღუდული რესურსების გამო, არამედ ამერიკული შეიარაღებული ძალების განთავსება რუსული საუკუპაციო ძალების სიახლოვეს დიდი პროვოკაციების და საფრთხის შემცველია. თუმცა აშშ-ს შეუძლია განაგრძოს ქართული ჯარის გაწვრთნა შემდეგი მიმართულებით: სადაზვერვო ინფორმაციების გაცვლა, უცხოური შესყიდვების გაზრდა და ინვესტიციის ჩადება ქართული ჯარის სამხედრო ინფრასტრუქტურის გაძლიერებაში.

გარდა ამისა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ამერიკისათვის ხელსაყრელია რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს. სამომავლოდ რეალისტური იქნება აშშ მხრიდან განხორციელდეს ლოგისტიკური მხარდაჭერა და ამერიკული ჯარის ნაწილების როტაცია. საქართველოს ტერიტორიაზე წვრთნების ჩატარება დაეხმარება ამერიკელებს, რომ შეეგუონ კლიმატს, ტოპოგრაფიას და გამოწვევებს. ქართული ბაზების გაძლიერება საშუალებას მისცემს ამერიკას გაზარდოს შესაძლებლობები ერთობლივი სახმელეთო წვრთნების, საზღვაო წვრთნების (საცეცხლე წვრთნები) და სპეცნაზების ერთობლივად გაწვრთნის აღნიშნულ გარემოში.

აშშ-ს თავდაცვისა და სახელმწიფო დეპარტამენტებმა უნდა გააფართოონ საქართველოს სტატუსი და უნდა მიანიჭონ მას აშშ-ს მთავარი მოკავშირის სტატუსი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის ნატოს წევრი. აღნიშნული სტატუსი საშუალებას მისცემს საქართველოს მიიღოს დამატებითი ინვესტიცია და

გადალახოს აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ბიუროკრატიული ბარიერი სამხედრო სფეროში. ეს იქნება მყარი გზავნილი რუსეთისთვის, რომ აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს. ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოსთვის იქნება გარანტი რუსეთის მხრიდან აგრესიის შეკავების, რაც ამავდროულად შედის ამერიკის ინტერესებში.

მეორე- ამერიკამ უნდა გააღრმავოს ურთიერთობები შავი ზღვის ქვეყნებს შორის და უნდა იყოს მათი შემაკავშირებელი რგოლი, მიუდებხავად იმისა, რომ მას არა აქვს ბაზები შავ ზღვაზე. ადგილობრივი პარტნიორების კოლექტიური ძალისხმევა იქნება გასაღები რეგიონალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს, როგორც შავი ზღვის რეგიონის წარმომადგენელს, ნატოს ასპირანტ ქვეყანასა და ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო პარტნიორს რეგიონში, აქვს ამბიცია, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ნატოს აღმოსავლეთ საზღვრების გასამყარებლად. ნატოს და აშშ მხარდაჭერის გაძლიერება საქართველოსთან მიმართებაში შავი ზღვის აუზში რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს. აშშ-მ უნდა გამოიწვიოს შესაძლებლობები რათა ხელი შეუწყოს პარტნიორ ქვეყნებს შორის -ურთიერთობების გამყარებას, რომლთაც საერთო ინტერესი ამოძრავებთ მაგრამ არ არიან მზად ითანამშრომლონ ერთმანეთთან ამერიკის ჩარევის გარეშე. მაგალითად, საქართველომ შეიძლება დიდი სარგებელი ნახოს საბერძნეთსა და ისრაელთან თანამშრომლობით.

აშშ თავდაცვის დეპარტამენტს თავიდან შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფი საქართველოს, საბერძნეთისა და ისრაელის სამხედრო ლიდერებთან ერთად, რომელიც თანამშრომლობას დაიწყებენ ერთმანეთთან და გამართავენ დისკუსიებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ეს შეიძლება გადაიზარდოს ერთობლივ წვრთნებში, რაც გაზრდის ქვეყნების მზადყოფნას რომ შექმნან ერთობლივი სადაზვერვო ქსელი. საქართველოს უსაფრთხოება ამერიკის საუკეთესო ინვესტიციაა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. რუსეთის გავლენა საქართველოზე და რეგიონში დღითი დღე იზრდება.

აშშ-მ უნდა განახორციელოს რეალური ქმედება რათა დაეხმაროს უკრაინას და საქართველოს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.(G.Howard-2020).

აშშ და ნატოს მხარდაჭერა

როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა ამერიკა და ნატო აგრძელებს საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერას, რაც გულისხმობს ერთობლივ წვრთნებს, მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და წვრთნებში რომელსაც უზრუნველყოფს ნატო.

ნატო არის შავი ზღვის უსაფრთხოების გარანტი. მისი მოკავშირე ქვეყნები გააგრძელებენ დახმარებას სამი მიმართულებით:

- წვრთნების ჩატარება საქართველოსა და უკრაინასთან ერთად;

- შავი ზღვის რეგიონში უფრო აქტიური მოქმედება;
- უკრაინისა და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული

მთლიანობის მხარდაჭერა

შავი ზღვის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანეშია საქართველოსთვის რუსული აგრესიის შესაკავებლად, შესაბამისად რეგიონში ნატოს და ალიანსის ქვეყნების არსებობა და თანამშრომლობის გაძლიერება წინ გადადგმული ნაბიჯია რუსეთიდან მომავალი საფრთხეების გასანეიტრალებლად.

ქვემოთ არის დასახელებული გარკვეული რეკომენდაციები შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის პარტნიორობის გასაღრმავებლად :

- სახელმწიფო უწყებებმა უნდა იმუშაონ კოორდინირებულად (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) ერთიანი ხედვა უნდა ჩამოაყალიბონ შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ.

- საზღვაო ძალების განვითარება და სანაპირო დაცვის გაძლიერება.
- საქართველოს აქტიური ჩართვა შავი ზღვის რეგიონის მიმართ რეგიონული

პოლიტიკის შემუშავებაში

- ნატოს ინტენსიური დიალოგი საქართველოსა და უკრაინასთან
- ნატოს ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნება რეგიონში.

შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისა და რუსეთის შეკავებისთვის უნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ნატოს ღია კარის პოლიტიკასა და საქართველოსა და უკრაინის ევრო-ატლანტიკური პერსპექტივების არსებობას.

- რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება საფრთხეებთან გასამკლავებლად. ნატომ და ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყონ უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან, მათ შორის ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებით რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურებას, შესაბამისი ფორმატების შექმნას და კოორდინაციის გაუმჯობესებას, რასაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (დ. ჩიტალაძე, 2018)

გამოყენებული ლიტერატურა

1. G.Howard(2020) U.S.Navy-Georgia is the key of the black Sea-
<https://www.usni.org/magazines/proceedings/2020/may/georgia-key-black-sea>
2. Victor Kipiani (2020) the Chair of Geocase -
<https://www.youtube.com/watch?v=L1L3jN7Z1Vg>
3. James Apaturay (2020) Georgia today (radio interview)
<http://georgiatoday.ge/news/20944/NATO%E2%80%99s-Major-Steps-to-make-Georgia-more-Involved-in-Black-Sea-Security>
4. J. Stoltenberg -NATO announces deepening partnership with Georgia, Ukraine-2020
<https://agenda.ge/en/news/2020/10282>
5. Luke Coffey- the Director of the Douglas and Sarah Allison Center for Foreign Policy at The Heritage Foundation -Black Sea Security-Geocase-
<https://www.youtube.com/watch?v=L1L3jN7Z1Vg>
6. დ. ჩიტალაძე - შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფერენტაციის ხაზზე-კვლევითი დოკუმენტი - 2018.
7. SIPRI Policy Paper No. 50 neil j. melvin - Rebuilding Collective Security in the Black Sea Region the risks of military confrontation in the black sea region გვერდი 65 - December 2018.
8. Georgia Defence and Security Conference (GDSC)-2019
<https://gdsc.mod.gov.ge/page/about?lang=en>
9. Mrs. Florence Parly, Lieutenant General Patrick Destremau *Director*, Major General Jean-Christophe Cardamone, Dr. Roger Weissinger-Baylon- *Workshop Chairman and Founder* Global Security in the Age of Hybrid Conflict Cyber Threats and Cyber Influence Operations-
<https://www.cedr.org/2019%20Book/Proceedings%2035th%20International%20Workshop%20-%20Photos.pdf>

რუსეთის ჰიბრიდული საფრთხეები შავ ზღვაზე და საქართველოს, როგორც
აშშ პარტნიორის მნიშვნელოვანი როლი

ნატო ჯიადზე
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობის ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს როგორც სტრატეგიული პარტნიორის მნიშვნელოვანი ადგილი შავი ზღვის უსაფრთხოებაში. სტატიის მიზანია რუსეთის ჰიბრიდული საფრთხეების გაანალიზება. ნატოს, ამერიკის და ევროკავშირის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად. რეკომენდაციები რუსეთის ჰიბრიდული საფრთხეების და გავლენის შესასუსტებლად.

Russia's hybrid threats on the Black Sea and Georgia's role

Nato Jiadze

PhD student , Faculty of Law and International Relations

Georgian Technical University

Summary

The article discusses the Georgia's in the black sea security. The purpose of this article is to analyze the hybrid threats imposed by Russia and recommendations that should be done to cope the threats.

Menaces hybrides de la Russie sur la mer Noire et rôle de la Géorgie

Nato Jiadze

Doctorant, Faculté de droit et relations internationales

Université technique géorgienne

Résumé

L'article traite de la sécurité de la Géorgie dans la mer Noire. Le but de cet article est d'analyser les menaces hybrides imposées par la Russie et les recommandations qui devraient être faites pour faire face à ces menaces.

ავტორთა საჭურაფლოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
რედაქცია პასუხს არ აბებს წარმოღებნილი მასალების სიზუსტეზე.
იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოღებნილი სახით.

Notice to the authors:

The authors and the redaction may have different points of view.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registred at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi
Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003

ტირაჟი 100